



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 33

03 04 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის  
N03/2505 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის სხდომის N6 ოქმის მე-2 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2505 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს კანონის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საიმერლოში მდებარე 30 382 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N83.04.05.618) და მასზედ განთავსებული შენობა - ნაგებობები პირდაპირი განკარგვის ფორმით, უვადოდ, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადასცეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი